საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

# 2019

## თებერვალი




20.03.2019

**www.geostat.ge**

# სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში 2019 წლის თებერვალი

2019 წლის თებერვალში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.05 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსის ზრდამ 3.3 პროცენტი შეადგინა.

**წინა თვესთან შედარებით** ფასები 1.7 პროცენტით გაიზარდა **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის** ჯგუფზე და შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 0.11 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ჯგუფში ფასების ზრდა დაფიქსირდა ლითონის მადნებზე და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქციაზე (1.9 პროცენტი).

**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**: ფასები შემცირდა 0.1 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე -0.06 პროცენტული პუნქტით აისახა.

**12 თვიან პერიოდში** ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**: ფასები გაიზარდა 4.0 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 3.18 პროცენტული პუნქტით იმოქმედა. ფასები გაიზარდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (4.5 პროცენტი), აგრეთვე ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (5.1 პროცენტი);

- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**: დაფიქსირდა ფასების 1.1 პროცენტიანი ზრდა, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 0.14 პროცენტული პუნქტით აისახა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
## 2019 წლის თებერვალი

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2019 წლის იანვართან | წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში | 2018 წლის თებერვალთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|---|---|
| | სულ | **100.0** | **0.05** | **103.3** | **3.28** |
| **C** | **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია** | **101.7** | **0.11** | **99.3** | **-0.04** |
| CA | ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი | 99.5 | 0.00 | 96.9 | -0.02 |
| CB | ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქცია | 101.9 | 0.11 | 99.5 | -0.02 |
| **D** | **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **99.9** | **-0.06** | **104.0** | **3.18** |
| DA | კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი | 99.7 | -0.13 | 104.5 | 1.65 |
| DB | ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი | 99.7 | -0.01 | 99.1 | -0.02 |
| DC | ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან | 100.0 | 0.00 | 102.8 | 0.01 |
| DD | მერქანი და მერქნის ნაწარმი | 100.1 | 0.00 | 98.9 | 0.00 |
| DE | ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება | 97.5 | -0.09 | 111.5 | 0.39 |
| DF | კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი | 100.0 | 0.00 | 109.4 | 0.07 |
| DG | ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები | 98.8 | -0.06 | 96.2 | -0.23 |
| DH | რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი | 99.7 | -0.01 | 109.0 | 0.30 |
| DI | სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი | 100.8 | 0.09 | 103.6 | 0.38 |
| DJ | ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი | 100.9 | 0.15 | 105.1 | 0.54 |
| DK | მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 99.6 | 0.00 | 101.0 | 0.00 |
| DL | ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები | 100.0 | 0.00 | 100.5 | 0.00 |
| DN | სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 100.0 | 0.00 | 105.7 | 0.09 |
| **E** | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი** | **100.0** | **0.00** | **101.1** | **0.14** |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.03.2019

## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა თვე = 100)




## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)




საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge